# საქართველოს სახოგადოებრივი მაუწყებელი

# კვარტალური ანგარიში

ივლისი-აგვისტო-სექტემბერი

თბილისი

2008 წელი

სარჩევი:


- საინფორმაციო პროგრამა 3
- რადიო 13
- ნაციონალური პროექტი 15
- სპორტული მიმართულება 18
- კინოპროგრამების მიმართულება 20
- მუსიკალური მიმართულება 21
- საბავშვო ევროვიზია 22
- ტექნიკური დეპარტამენტი 23
- მარკეტინგის სამსახური 24
- ადამიანური რესურსების სამსახური 28
- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური 33
- ფინანსური დეპარტამენტი (9 თვის ანგარიში) - დანართი

# საინფორმაციო პროგრამა „მოამბე“
## 2008 ანგარიში ივლისი - აგვისტო - სექტემბერი

აღნიშნული საანგარიშო პერიოდი საქართველოში რუსულ აგრესიას და ცხინვალის რეგიონში საომარ მოქმედებებს ემთხვევა, რის გამოც მისი ძირითადი ნაწილი სწორედ ომის გაშუქებას და იმ საგანგებო რეჟიმს შეეხება, რომლითაც მოამბე ამ პერიოდში მუშაობდა.

პოლიტიკურად დაძაბული და ცხელი ზაფხული ჯერ კიდევ ივლისში დაიწყო – გახშირდა პროვოკაციები კონფლიქტის ზონებში, დაიძაბა დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის, მუშაობა დაიწყო ახალმა პარლამენტმა, შიდა პოლიტიკურ არენაზე მოხდა ძალთა მნიშვნელოვანი გადანაწილება – ეს ყველაფერი და კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა მოამბის ობიექტივში მოხვდა.

ამ პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებელი აქტიურად აშუქებდა საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პოლიტიკურ ვითარებას. ახალი პარლამენტის პირველი სხდომა მოამბემ პირდაპირ ეთერში გადასცა. თითქმის ყოველდღე მოამბეში 20.00 საათზე მზადდებოდა რეპორტაჟები საპარლამენტო ოპოზიციასა და უმრავლესობას შორის მიმდინარე კონსულტაციების შესახებ, რასაც უმცირესობის შექმნა და ნდობის ჯგუფში ოპოზიციონერი დეპუტატების შესვლა მოჰყვა. მოამბეს უყურადღებოდ არც არასაპარლამენტო ოპოზიცია დაუტოვებია, თუმცა მათი აქტივობა ივლისის თვეში მინიმუმამდე შემცირდა. სამაგიეროდ ამ პერიოდში საზოგადოების დიდი მოლოდინის შემდეგ კვლავ გამოჩნდა პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, რომლის დემოკრატიული ფონდის პრეზენტაციას მოამბემ სპეციალური რეპორტაჟი მიუძღვნა.

კონფლიქტურ რეგიონებში განსაკუთრებით მაშინ დაიძაბა სიტუაცია, როცა ცხინვალის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დიმიტრი სანაკოევის ესკორტზე სეპარატისტების მხრიდან თავდასხმა განხორციელდა. მოამბე ოპერატიულად ჩავიდა კონფლიქტის ზონაში, ჩვენი კორესპონდენტი ტერაქტის ადგილიდან პირდაპირი ეთერში ჩაერთო. ოსი სეპარატისტების მხრიდან თითქმის ყოველდღიური გახდა პროვოკაციები - ცეცხლის გახსნა ქართული სოფლებისთვის, ქართველი პოლიციელების დაპატიმრება და სხვ. მოამბის კორესპონდენტი შიდა ქართლში ნინო ფისაძე და ოპერატორი მიშა ჯანეზაშვილი ხშირად კონფლიქტის ზონის ქართულ სოფლებში მთელი ღამით მუშაობდნენ და ცხინვალიდან წამოსულ ტყვიების წვიმას იღებდნენ.

ცხინვალის პარალელურად სიტუაცია რთულდება აფხაზეთსა და სამეგრელოშიც. სოხუმის სეპარატისტული ხელისუფლების მიერ ენგურის პირობითი საზღვრის ჩაკეტვას გალში აფეთქებები და მსხვერპლი მოჰყვა. თავდასხმა ხორციელდება ზემო აფხაზეთში ქართული პოლიციის საგუშაგოზეც. პარალელურად აქტიურდება საერთაშორისო საზოგადოება, თბილისში კონფლიქტების მოგვარების ახალი გეგმით გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩამოდის. ფრანკ ვალტერ შტაინმაიერის ვიზიტი მოამბემ გააშუქა მოსკოვში, თბილისა და სოხუმში. სამწუხაროდ სეპარატისტების მიერ კონტროლირებად აფხაზეთში ქართული მედიის შესვლა შეზღუდულია, ამიტომ ჩვენ

მასალები სოხუმიდან უცხოელმა კოლეგებმა მოგვაწოდეს. მოამბემ პირდაპირ ეთერში გადასცა შტაინმაიერისა და საქართველოს პრეზიდენტის შემაჯამებელი ბრიფინგი.

9 ივლისს საქართველოში ჩამოვიდა აშშ სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი. მისი ორდღინი ვიზიტი მოამბემ აქტიურად გააშუქა, მომზადდა სიუჟეტები, პირდაპირი ჩართვები. მოამბის მაყურებელმა ასევე პირდაპირ ეთერში მოისმინა კონდოლიზა რაისის და მიხეილ სააკაშვილის პრესკონფერენცია, სადაც სახელმწიფო მდივანს შეკითხვა საზოგადოებრივი მაუწყებლის კორესპონდენტმა დაუსვა.

ამავე თვეში აღსანიშნავია ასევე, რომ მოამბის ჟურნალისტებმა აქტიურად გააშუქეს გაეროს უშიშროების საბჭოს სპეციალური სხდომა და პან გი მუნის მოხსენება საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებზე.

ივლისში მოამბის კორესპონდენტებმა მოამზადეს არა ერთი ექსკლუზიური და საინტერესო რეპორტაჟი სოციალურ, კრიმინალურ და კულტურულ თემებზე. მათ შორის აღსანიშნავია სიუჟეტი ტრეფიკინგის მსხვერპლ უზბეკ ქალზე; 7 წლის ბავშვის ისტორია, რომლის მშობლებიც ექიმებს გულგრილობაში ადანაშაულებენ; ფართომასშტაბიანი აჟიოტაჟი სწრაფი გადახდის აპარატებთან დაკავშირებით; ვიზების მიღების გართულებული პროცედურები და დარღვევები, რომელსაც რამდენიმე საელჩოში აქვს ადგილი. მოამბეში გავიდა ერაყში მომზადებული რეპორტაჟი სადამ ჰუსეინის სასახლის შესახებ, სადაც ახლა ამერიკელების სამხედრო ბაზაა განთავსებული. განსაკუთრებული რეზონანსი მოჰყვა სოციალურ თემებზე მომზადებულ ორ სიუჟეტს – 5 წლის ბავშვის ისტორია, რომელსაც ტვინის სიმსივნე აქვს და პოლიეთილენის პარკით გადახურულ სახლში მცხოვრები 9 სულიანი ოჯახის ისტორია. ამ რეპორტაჟების გასვლის შემდეგ რედაქციაში უამრავმა ადამიანმა დარეკა, რომლებიც ფინანსურად დაეხმარნენ ორივე ოჯახს, რის შედეგადაც ბავშვი სამკურნალოდ გაგზავნეს უცხოეთში, მრავალშვილიან ოჯახს კი სახლი უყიდეს.

მოამბემ მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ეროვნულ გამოცდებს, რომელიც ივლისის თვეში ჩატარდა. ასევე იმ კულტურულ ღონისძიებებს, რომელიც მრავლად იყო ამ პერიოდში - კონკურსი მის საქართველო, ფესტივალი არტ-გენი, შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალი, ნოდარ დუმბაძის 80 წლის იუბილე, პაატა ბურჭულაძის იუბილე და ვარსკვლავის გახსნა, რობერტ სტურუას იუბილე და სხვ.

უცხოეთში მიმდინარე მოვლენებიდან აღსანიშნაია დიდი რვიანის სამიტი იაპონიაში, რადოვან კარაჯიჩის ტრიბუნალი, აშშ დამოუკიდებლობის დღე და წინასაარჩევნო კამპანია. ვინაიდან საარჩევნო კამპანია ამ პერიოდში გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, მოამბე აქტიურად აშუქებდა შეერთებულ შტატებში მიმდინარე მოვლენებს.

აგვისტოს დასაწყისში სიტუაცია უკიდურესად მწვავდება ცხინვალის რეგიონში. სეპარატისტები წვერიახოს შემოვლით გზას ცეცხლს უხსნიან, რის შედეგადაც 6 ქართველი პოლიციელი მძიმედ დაიჭრა. დე-ფაქტო მთავრობასთან მოლაპარაკების მიზნით ცხინვალში სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი შედის. მოამბე მიმდინარე მოლაპარაკებისა და ცხინვალის რეგიონის ქართულ სოფლებში არსებული ვითარების შესახებ მაყურებელს ინფორმაციას სოფელ ერგნეთიდან აწვდის, სადაც ჩვენი გადამღები ჯგუფები და მოძრავი ჩართვის ტექნიკა მუშაობს.

7 აგვისტოს ჩვენი გადამღები ჯგუფი - კორესპონდენტი ლიკა ხურციძე და ოპერატორი გიორგი ბაბილოძე სოფელ ავნევში გადადიან, რომელიც ამ დროისთვის ინტენსიურად იბომბება ოსი სეპარატისტების მიერ. გადამღები ჯგუფი უშუალოდ სროლის ეპიცენტრში მოყვა, თითქმის მთელი დღის განმავლობაში მათთან სატელეფონო კავშირი გაწყვეტილი იყო. მიუხედავად დიდი რისკისა მათ გადაღება არ შეუწყვეტიათ. ლიკა ხურციძემ და გიორგი ბაბილოძემ მთელი ღამე ქართველ სამხედროებთან ერთად სანგარში გაატარეს და მხოლოდ მეორე დღეს მოახერხეს სოფლიდან გამოსვლა. ლიკა ხურციძის ექსკლუზიური რეპორტაჟი მოამბის მაყურებელმა 8 აგვისტოს, საღამოს 20.00 საათზე იხილა.

თუმცა, მანამდე 8 აგვისტოს გამთენიისას, დილის 2 საათზე ეთერში გავიდა მოამბის სპეციალური გამოშვება, რომელმაც მაყურებელს ცხინვალში სამხედრო ოპერაციის დაწყების შესახებ აუწყა. საინფორმაციო ეთერი დილამდე გაგრძელდა, ის არ შეწყვეტილა.

8 აგვისტოს საინფორმაციო სამსახურში სრული მობილიზაცია გამოცხადდა, ყველა თანამშრომელი, რომელიც ამ დროისთვის შვებულებაში იმყოფებოდა და ოჯახებთან ერთად დასასვენებლად იყო წასული, სამსახურში დაბრუნდა. ბევრ მათგანს დასავლეთ საქართველოდან თბილისში დაბრუნება შემოვლითი გზებით და საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრილი რუსი სამხედროების ბლოკპოსტების გავლით მოუხდა.

საინფორმაციო გამოშვება მოამბე ეთერში ყოველ საათში ერთხელ გადიოდა, რაც ადამიანური და ტექნიკური რესურსის მაქსიმალურ მობილიზებას მოითხოვდა, პირველი საინფორმაციო გამოშვება დილის 8 საათზე იწყებოდა, ხოლო ბოლო ზოგჯერ ღამის 3 საათზე. დაწესდა სადღეღამისო მორიგეობა, მოამბის ყველა თანამშრომელი მუშაობდა დასვენების დღის გარეშე. კორესპონდენტების უმეტესობას, რომლებიც ცხელ წერტილებში იმყოფებოდნენ, რისკის ფასად უწევდათ მუშაობდა. 9 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიაზე შემოსულმა რუსულმა ავიაციამ გორი დაბომბა, რასაც საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მოყვა რუსული ავიაბომბების ჩამოგდება. დაიბომბა სამხედრო ბაზები და სამოქალაქო ობიექტები, რასაც მსხვერპლი მოყვა. მოამბემ პირველმა გადასცა ეთერში დაბომბილი გორის ექსკლუზიური კადრები, რომელიც შემდეგ მსოფლიოს წამყვანი ტელეკომპანიების ეთერში მოხვდა.

შიდა ქართლის პარალელურად სიტუაცია დაიძაბა სამეგრელოში, რუსი სამხედროები და ტექნიკა შევიდა ზუგდიდში, ფოთში, სენაკში. ფოთში ოკუპანტებმა პორტის და იქ არსებული სამხედრო და სასაზღვრო ინფრასტრუქტურის და გემების განადგურება დაიწყეს. თითქმის ორი კვირის განმავლობაში სამეგრელოში იმყოფებოდა ჩვენი გადამღები ჯგუფი, რომელიც ფოთსა და სენაკში მუშაობდა. სამეგრელოში მუშაობდა ასევე ჩვენი რეგიონალური კორესპონდენტი. რადგან გორის დაბომბვის დროს გადანდგურდა გორის ტელეანძა, დასავლეთ საქართველოდან ვიდეომასალის მიღება შეუძლებელი გახდა. სამეგრელოში მყოფი ჩვენი კორესპონდენტები თავიდან მასალას ინტერნეტით გვაწვდიდნენ. მოგვიანებით კი აჭარის ტელევიზიის ეთერით, რომელიც დაგვთანხმდა, რომ ჩვენი კორესპონდენტების მიერ გადაღებული მასალა (ხშირად დაუმონტაჟებელი) ეთერში გაეშვა, ამ დროს აჭარის ტელევიზიას ეხსნებოდა ლოგო და ჩვენ თბილისში საშუალება გვქონდა ვიდეომასალა ჩაგვეწერა, შემდეგ კი მოამბის ეთერში გაგვეშვა.

მოამბის კორესპონდენტმა ქეთი ბერაიამ და ოპერატორმა გოგიტა ხარებავამ ფოთში ექსკლუზიურად გადაიღეს ისკანდერის ტიპის 500 კილოგრამიანი რაკეტა, რომელიც სასაზღვრო ძალების მანქანას დაეცა.

ამავე პერიოდში რუსულმა სამხედრო ძალებმა დაიკავეს გორი, ქალაქი თითქმის მთლიანად დაიცალა. ჩვენმა გადამღებმა ჯგუფებმა ქალაქი მხოლოდ მას შემდეგ დატოვეს, რაც გორიდან თავდაცვის მინისტრიც გაემგზავრა. ამის შემდეგ ქალაქი გორი ჩაიკეტა და იქ ქართველ ჟურნალისტებს უკვე აღარ უშვებდნენ, თუმცა მოამბის რამდენიმე კორესპონდენტმა მაინც მოახერხა ოკუპირებულ გორში შეღწევა.

მოამბემ ეთერში პირველმა გადასცა ბორჯომის ხეობაში გაჩენილი ხანძრის ექსკლუზიური კადრები, რომელიც ჩვენმა რეგიონალურმა ბიურომ გადაიღო, ვიდეომასალა თბილისში ერთი დღის დაგვიანებით, შემოვლითი გზით ჩამოვიდა, რადგან ამ დროისთვის, გორის შესასვლელს და გამოსასვლელს რუსი ოკუპანტები აკონტროლებდნენ. სამცხე-ჯავახეთში ჩვენი კორესპონდენტი ამ მეთოდით თითქმის ყოველ დღე გვაწვდიდა ახალ ვიდეომასალას. მოამბემ მოამზადა არაერთი რეპორტაჟი ბორჯომის ხეობაში რუსების მიერ განხორციელებულ ეკოციდზე.

რუსული ოკუპაციის დაწყების დღიდანვე სახელმწიფო კანცელარიაში ამოქმედდა სპეციალური მედია ცენტრი, სადაც მინისტრები ყოველ ერთ საათში ბრიფინგს

მართავდნენ. მოამბე ამ ბრიფინგებს პირდაპირ ეთერში აწვდიდა მაყურებელს. ამას გარდა პერიოდულად იმართებოდა პრეზიდენტის მიმართვები მოსახლეობისადმი, რომელიც ასევე პირდაპირ ეთერში გადაიცემებოდა.

12 აგვისტოს თბილისში ჩამოდის საფრანგეთის პრეზიდენტი. ხელი ეწერება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 6 პუნქტიან შეთანხმებას – მოამბემ სარკოზის ვიზიტი მოსკოვსა და თბილისში პირდაპირ ეთერში გააშუქა. ასევე პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა 5 ქვეყნის პირველი პირების ვიზიტი, მათი მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი. 13 აგვისტოს მოამბემ პირდაპირ ეთერში გადასცა აშშ პრეზიდენტის გამოსვლა ვაშინგტონში, სადაც მან სამხედრო-ჰუმანიტარული მისიის დაწყების შესახებ გამოაცხადა და საქართველოში სახელმწიფო მდივანი გამოგზავნა.

მიუხედავად იმისა, რომ ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას, საქართველოს ტერიტორიის სამხედრო ოკუპაცია არ შეწყვეტილა. 14 აგვისტოს გორის მისადგომებთან მყოფ ჩვენს კორესპონდენტს სნაიპერის მიერ ნასროლი ტყვია მოხვდა. თამარ ურუშაძე პირდაპირ ეთერში ჩართვის დროს დაიჭრა, მიუხედავად მომხდარისა არც მას და არც მის ოპერატორს თორნიკე მიროტაძეს მუშაობა არ შეუწყვეტიათ და მთელმა საქართველომ პირდაპირ ეთერში იხილა მომხდარი. კადრები, თუ როგორ მოხვდა მოამბის კორესპონდენტს ხელში ტყვია მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვამა ტელეკომპანიამ ეთერში გადასცა. მომხდარის შესახებ დაიწერა დასავლურ პრესაში, ინტერნეტგამოცემებში, ასევე ჟურნალისტთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების ანგარიშებში. დაჭრილი თამარ ურუშაძე საავადმყოფოში მოინახულა კონდოლიზა რაისმა, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი თბილისში მეორე დღეს 15 აგვისტოს ჩამოვიდა. ამ უპრეცედენტო შემთხვევის შესახებ თავის გამოსვლაში კონდოლიზა რაისთან ერთად გამართულ ბრიფინგზე საქართველოს პრეზიდენტმაც ისაუბრა. მოგვიანებით, 16 სექტემბერს თამარ ურუშაძეს მიხეილ სააკაშვილმა ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხი ორდენი გადასცა, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი პიროვნული მამაცობის, გაბედული მოქმედებისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის. თავის მისასალმებელ სიტყვაში სააკაშვილმა განაცახადა, რომ მას არასოდეს უნახავს და არც გაუგია მსგავსი რამ, როცა პირდაპირ ეთერში დაჭრეს ჟურნალისტი, მან კი პირდაპირი ჩართვა გააგრძელა.

სექტემბერში თამარ ურუშაძე მიიწვიეს ნორვეგიაში, ჟურნალისტების კონგრესზე, სადაც მთელი მსოფლიოდან იყვნენ ჩასული ის კორესპონდენტები, ვინც ცხელ წერტილებში მუშაობენ. ასობით ჟურნალისტმა მოამბის კორესპონდენტის თვალით დანახული ომის ისტორია მოისმინა.

რუსი სამხედროები ფიზიკურად გაუსწორდნენ ჩვენ ოპერატორს გოგიტა ხარებავას, რომელიც გორის შესასვლელთან განლაგებულ უკანონო ბლოკ-საგუშაგოს იღებდა. კიდევ ერთი ინციდენტი სამეგრელოში მოხდა. სოფელ პირველ მაისში მშვიდობიანი მოსახლეობის აქცია გაიმართა, სადაც ხალხი საქართველოდან რუსი ოკუპანტების გასვლას ითხოვდა. აქციის გადაღების დროს იარაღის მუქარა განხორციელდა ჩვენს კორესპონდენტ ნატო ბერულავასა და მის ოპერატორ გიგა კილასონიაზე. რუსები დაემუქრნენ ჟურნალისტს რომ გადაღება შეეწყვიტა, თუმცა მიუხედავად ამისა, მან აქციის ექსკლუზიური კადრები მაინც გადაიღო. საზოგადოებრივი მაუწყებლის ჯგუფი იყო ერთდერთი, რომელიც ამ დროს იქ იმყოფებოდა. მოგვიანებით ნატო ბერულავასა და გიგა კილასონიას მიერ გადაღებული კადრები მსოფლიოს წამყვანმა ტელეკომპანიებმა აჩვენეს.

მიუხედავად ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 6 პუნქტიანი შეთანხმებისა, რომელიც საქართველოს ტერიტორიიდან რუსული ჯარების გაყვანასაც ითვალისწინებდა, რუსი ოკუპანტები გასვლას არ ჩქარობდნენ. რუსებს აღებული ვალდებულებების შესრულებისკენ მსოფლიოს ლიდერები მოუწოდებდნენ. საქრთველოს მხარდასაჭერად აგვისტოში თბილისში რამდენიმე ქვეყნის პირველი პირები და მაღალი რანგის პოლიტიკოსი ჩამოვიდა, მათი ვიზიტები მოამბემ პირდაპირ ეთერში გააშუქა, მათ

შორის აღსანიშნავია ანგელა მერკელის, რეჯებ ტაეპ ერდოგანის, დევიდ მილიბენდის, ასევე ამერიკელი სენატორების ვიზიტები. საქართველოს მხარდაჭერას უცხადებენ როგორც რესპუბლიკელი, ისე დემოკრატი სენატორები. თბილისში ჩამოდის ჯოზეფ ბაიდენი, დემოკრატი სენატორი, რომელიც ბარაკ ობამას ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატია.
მოამბემ პირდაპირ ეთერში გადასცა ბათუმსა და ფოთში ამერიკული სამხედრო გემების შემოსვლა, რომლებმაც რუსული აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარება ჩამოიტანეს.

მთელი აგვისტოს განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში იმართებოდა საქართველოს მხარდამჭერი აქციები. ჩვენი უცხოელი კოლეგებისა და რიგითი მოქალაქეების მიერ მოწოდებული მასალები საშუალებას გვაძლევდა მოამბის მაყურებლისთვის არაერთი რეპორტაჟი შეგვეთავაზებინა მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან.

აგვისტოში ქართული მხარის მოთხოვნით ნიუ-იორკში გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა შედგა, სადაც საქართველოს ელჩი გაეროში სიტყვით გამოვიდა, შემდეგ სხვადასხვა ქვეყნის ელჩებმა საქართველოს მხარდაჭერა გამოუცხადეს. უშიშროების საბჭოს სხდომა მოამბემ სპეციალური გამოშვებით ღამის 12 საათზე პირდაპირ ეთერში გადასცა.

მოამბემ ექსკლუზიურად გადაიღო დაბომბილ და ოკუპირებულ გორში 14 აგვისტოს პირველი ჰუმანიტარული ტვირთის შეტანა. მხოლოდ ჩვენი კორესპონდენტი რატი მუჯირი და ოპერატორი გოგიტა ხარებავა შევიდნენ ღამით გორში და გადაიღეს ტვირთის დარიგება. ასევე მოამბის კორესპონდენტმა გიგა მაქარაშვილმა და ოპერატორმა ლევან დგებუაძემ 21 აგვისტოს ერთი ღამე გაათენეს ოკუპირებულ გორში, კომენდანტის საათის მიუხედავად, მათ უდიდესი რისკის ფასად ექსკლუზიური კადრები გადაიღეს.

მოამბის მაყურებელმა პირველმა იხილა ატენის ხეობაში გაჩენილი ხანძრის კადრები, რომელიც ჩვენმა კორესპონდენტმა შიდა ქართლში ნინო ფისაძემ ექსკლუზიურად გადაიღო. ასევე მოამბის გადამღები ჯგუფი ჩავიდა პირველად სახალხო დამცველთან ერთად ატენის ხეობაში, სადაც ათასობით დევნილი აფარებდა თავს.

22 აგვისტოს რუსულმა ჯარმა იგოეთიდან და გორიდან გასვლა დაიწყო. თუმცა მანამდე მათ გორის სამხედრო ბაზა ააფეთქეს. ამის ამსახველი ვიდეო მასალა მოამბემ ექსკლუზიურად შესთავაზა მაყურებელს პირდაპირ ეთერში, ჩვენი გადამღები ჯგუფი გორის ციხიდან იღებდა სამხედრო ბაზის აფეთქებას. უკვე მეორე დღეს მოამბის კორესპონდენტი ვახტანგ ნიკოლავა და ოპერატორი გიორგი ლაღიძე იყვნენ პირველები ვინც 4 გამნაღმველთან ერთად გორის დანაღმულ სამხედრო ბაზაზე შევიდნენ.

24 აგვისტოს სოფელ სკრაში სატვირთო მატარებელი დანაღმულ ლიანდაგზე აფეთქდა, ცეცხლი წაეკიდა ნავთობის ცისტერნებს, რამაც უდიდესი ხანძარი გამოიწვია. მოამბის კორესპონდენტი ნინო ფისაძე შემთხვევის ადგილიდან ალმოდებული მატარებლის ფონზე პირდაპი ეთერში ჩაერთო. ნინო ფისაძემ გადაიღო ასევე პირველი კადრები განადგურებულ სოფელ კარალეთში, მიუხედავად იმისა, რომ იქ ჯერ კიდევ იმყოფებიან რუსი სამხედროები მოამბის კორესპონდენტმა სოფელში მალულად შესვლა და ექსკლუზიური ვიდეომასალის გადაღება შეძლო.

აგვისტოში შექმნილი მძიმე ვითარების ფონზე, მოამბის პირდაპირ ეთერში არაერთი ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და პოლიტიკოსი წარსდგა მაყურებლის წინაშე და საკუთარი პოზიცია დააფიქსირა. მოამბემ პირდაპირ ეთერში გერმანიიდან ჩართო პაატა ბურჭულაძე, საფრანგეთიდან – ოთარ იოსელიანი, ამერიკიდან – ლექსო თორაძე. პოლიტიკოსები ეკა ტყეშელაშვილი, სალომე სამადაშვილი, რევაზ ბეშიძე (ბრიუსელიდან), დავით ბაქრაძე, მიხეილ მაჭავარიანი, კობა სუბელიანი, გივი თარგამაძე, გიგა ბოკერია, ნიკა რურუა, ბაკურ კვეზერელი, დავით დარჩიაშვილი, გოკა გაბაშვილი ბათუ ქუთელია და სხვ.

მოამბის მთავარ გამოშვებაში განხორციელდა პირდაპირი ჩართვა შეერთებული შტატებიდან, დემოკრატიული პარტიის ყრილობიდან, სადაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ბარაკ ობამასთან შესახვედრად იმყოფებოდა. ობამას მიერ გამოცხადებული მხარდაჭერის შესახებ დავით ბაქრაძე მოამბის პირდაპირ ეთერში ისაუბრეს.

მოამბის მთავარ გამოშვებაში 20.00 საათზე მუდმივად მზადდებოდა სიუჟეტები შემდეგ თემებზე --- რუსეთის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ; საქართველოს მხარდამჭერი აქციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში; უცხოური მედიის ანალიზი; უცხოელი ლიდერების შეფასებები და განცხადებები; საზოგადოების სოლიდარობა დევნილებისადმი – სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციები, ბიზნესმენები, რიგითი მოქალაქეები როგორ ეხმარებოდნენ დევნილებს; საერთაშორისო ჰუმანიტარული ტვირთების ჩამოსვლა; რუსეთის ეკონომიკური ზარალი და საფინანსო კრიზისი; საერთაშორისო არენაზე რუსეთის იმიჯის საბოლოო შელახვა და მისი იმპერიული მიზნები.

აგვისტოს მოვლენების შედეგად მოამბემ შექმნა უნიკალური არქივი, სადაც რუსული აგრესიისა და ოკუპაციის ამსახველი ვიდეომასალა ინახება. დღემდე, და განსაკუთრებით აგვისტოს პერიოდში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა არაერთ უცხოურ მედია საშუალებას მიწოდა ეს ვიდეომასალა. ცხინვალის რეგიონის ქართულ სოფლებში განხორციელებული ეთნიკური წმენდის ამსახველი ვიდეომასალა ჩვენ მივაწოდეთ ასევე იუსტიციის სამინისტროსაც, რომელმაც ჰააგის სასამართლოში უკვე შეიტანა შესაბამისი სარჩელი.

26 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა.

8 აგვისტოს პეკინში ოლიმპიადა გაიხსნა – სამწუხაროდ რუსული აგრესიის გამო, საზოგადოებრივ მაუწყებელმა სათანადოდ ვერ გააშუქა ოლიმპიური თამაშები. საზოგადოებრივ მაუწყებელს ჰქონდა ექსკლუზიური უფლება ოლიმპიადის გაშუქების, დაგეგმილი იყო ოლიმპიადის ტრანსლაცია პირველ არხზე, თუმცა ცნობილი მოვლენების გამო, ტრანსლაცია მეორე არხზე განხორციელდა. მიუხედავად ამისა, მოამბემ მაყურებელს მაინც პირდაპირ ეთერში შესთავაზა ქართველი სპორტსმენების წარმატება. ჩვენმა კორესპონდენტმა პეკინში კი არაერთი ექკლუზიური რეპორტაჟი მოამზადა ჩემპიონ ოლიმპიელებზე.

პირველ სექტემბერს მოამბის ობიექტივში ორი მნიშვნელოვანი მოვლენა ხვდება – საქართველოს მხარდასაჭერად გამართული ცოცხალი ჯაჭვი და ევროკავშირის საგანგებო სამიტი საქართველო-რუსეთის თემაზე.

ცოცხალი ჯაჭვი, რომელიც საქართველოს მთელს ტერიტორიაზე 3 საათზე დაიწყო მოამბემ პირდაპირ ეთერში გააშუქა. მოამბის კორესპონდენტები დედაქალაქის სხვადასხვა ადგილიდან და ქვეყნის სხვა ქალაქებიდან პირდაპირ ეთერში ერთვებოდნენ. მოამბემ მოამზადა ასევე რამდენიმე რეპორტაჟი მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში გამართული ცოცხალი ჯაჭვის შესახებ.

პარალელურად ევროკავშირის სამიტის შესახებ ბრიუსელიდან ინფორმაციას მოამბის კორესპონდენტი პირდაპირ ეთერში გვაწვდიდა.

სექტემბერში მოამბის მთავარ გამოშვებაში განხორციელდა პირდაპირი ჩართვა აშშ-დან ამჯერად რესპუბლიკური პარტიის ყრილობიდან. რესპუბლიკელების მხარდაჭერის შესახებ მოამბის პირდაპირ ეთერში ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმა და სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ბარამიძემ ისაუბრეს.

4 სექტემბერს თბილისში აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი ჩამოდის. მისი ვიზიტი მოამბემ პირდაპირ ეთერში გააშუქა.

მოამბის მთავარ გამოშვებაში მზადდება რეპორტაჟები საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე განაღმვითი სამუშაოების შესახებ. მოამბის კორესპონდენტები

და ოპერატორები დიდი რისკის ფასად შედიან იმ ადგილებში, რომელიც რუსების მიერაა დანაღმული და ექსკლუზიურ ვიდეომასალას იღებენ.

ჩვენი კორესპონდენტები ახერხებენ რუსების და ოსების მიერ კონტროლირებად ქართულ სოფლებში გადასვლას და იქ არსებული სიტუაციის გადაღებას. 17 სექტემბერს ლიკა ხურციძე და გიორგი ქარსაშვილი კონფლიქტის ზონაში, სოფელ კარბში მალულად გადადიან და განადგურებული სოფლის და იქ დარჩენილი ადამიანების შესახებ ექსკლუზიურ რეპორტაჟს ამზადებენ.

24 სექტემბერს ლიკა ხურციძე და გიორგი ქასრაშვილი ისევ ახერხებენ გადასვლას კონფლიქტის ზონაში, ამჯერად შედიან სამ სოფელში ტყვიავში, ზარდიაანთ კარსა და მერეთში. დანგრეული სოფლების კადრები, ასევე განადგურებული ქართული სამხედრო ტექნიკა მაყურებელმა მოამბის ექსკლუზიურ რეპორტაჟში იხილა.

8 სექტემბერს თბილისში მეორედ ჩამოდის ნიკოლა სარკოზი და ჩამოაქვს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 6 პუნქტიანი გეგმის შესასრულებელი დამატებითი დოკუმენტი. მანამდე საფრანგეთის პრეზიდენტი მოსკოვში იყო. მისი ვიზიტი და პრესკონფერენცია მოამბემ პირდაპირ ეთერში გააშუქა.

12 სექტემბერს ეთერში გადის ექსპერტ ზეინო ბარანის ექსკლუზიური ინტერვიუ, რომელიც ჩვენმა კორესპონდენტმა ელისო ჯარიაშვილმა აშშ-ში ჩაწერა.

ამ პერიოდში მწავდება სახელმწიფო კრიზისი უკრაინაში, მოამბე კიევში სპეციალურ კორესპონდენტს აგზავნის, რომელიც პირდაპირ ეთერში გვერთვება და გვაწვდის უახლეს ინფორმაციას უკრაინაში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

11 სექტემბერს ჩვენი კორესპონდენტი რუსულ ინტერნეტ გამოცემებში პოულობს ინფორმაციას, იმის შესახებ რომ 7 აგვისტოს რუსული ჯარები იმყოფებოდნენ ცხინვალში, ამის შესახებ რუსული პრესა სამხედროებზე დაყრდნობით წერს, რომლებიც აგვისტოს მოვლენებს იხსენებენ. მოამბე რუსი ჯარისკაცების მშობლებთან სატელეფონო კომენტარებს წერს, საიდანაც მტკიცდება, რომ ისინი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე 7 აგვისტოს იმყოფებოდნენ.

14 სექტემბერს პირველად ქართული ტელევიზიების ისტორიაში მოამბის კორესპონდენტი ირინა ცერცვაძე სოხუმიდან ჩაერთო პირდაპირ ეთერში!

15-16 სექტემბერს საქართველოში ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს (ნაკის) სხდომა ტარდება, რომელსაც ნატოს გენერალური მდივანი და მინისტრები ესწრებიან. მოამბე საგანგებო რეჟიმში მუშაობს, ძირითადი საინფორმაციო გამოშვებების გარდა, ეთერში გადის სპეციალური გამოშვებები.

16 სექტემბერს მოამბემ პირდაპირ ეთერში გადასცა პრეზიდენტის ყოველწლიური გამოსვლა პარლამენტში. შემდეგ კი მაყურებელს შესთავაზა ოპოზიციის და უმრავლესობის პირდაპირი ჩართვები პარლამენტიდან პირველი რეაქციებით.

18 სექტემბერს მოამბემ პირდაპირ ეთერში გადასცა აშშ-ში მარშალის ფონდში კონდოლიზა რაისის გამოსვლა, სადაც მან რუსეთი მკაცრად გააკრიტიკა საქართველოს წინააღმდეგ მიმართული აგრესიის გამო.

მოამბემ პირდაპირ ეთერში გააშუქა გაეროს გენერალური ასამბლეა, სადაც სიტყვით გამოვიდნენ ჯორჯ ბუში, ნიკოლა სარკოზი, მიხეილ სააკაშვილი.

სექტემბრის თვის ბოლო მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც მოამბის ობიექტივში მოხვდა ხავიერ სოლანას ვიზიტი 30 სექტემბერს. ევროკავშირის მისიის დაწყებიდან ერთი დღით ადრე, ევროკომისარმა საქართველოში შეხვედრები გამართა.

მიუხედავად დაძაბული პოლიტიკური ფონისა, სექტემბერში საქართველოში ცნობილი კანადელი მუსიკოსი ბრაიან ადამსი ჩამოვიდა. მისი მშვიდობის ეგიდით გამართული კონცერტი მოამბემ პირდაპირ ეთერში გააშუქა.

# კინოპროგრამების მიმართულება

## 2008 წლის ივლისი-აგვისტო-სექტემბერი

კინოპროგრამების მიმართულება 2008 წლის მესამე კვარტალში აგრძელებს კომპანია **CENTRALPARTNERSHIP** – თან ერთად, კომპანია **WORNER BRAS.-**ის ფილმების ჩვენებას. ყოველდღე, ღამის ეთერში, მაყურებელს ვთავაზობთ ჟანრობრივად მრავალფეროვან მხატვრულ ფილმებს. ასევე, ყოველ შაბათს ვაჩვენებთ ქართულ მხატვრულ ფილმებს.

მესამე კვარტალში გრძელდება სერიალები: 19:00 სთ-ზე, კანადური „გზა ავონლეასკენ", 18:25 სთ.-ზე ფრანგული - „ცხოვრება მშვენიერია" და 21:00 სთ-ზე იტალიური - „ცხოვრება".
შაბათ-კვირას 19:00 სთ-ზე ეთერში გავიდა ახალგაზრდული ფრანგული სერიალი „სიყვარულის არდადეგები", ხოლო კვირაობით, 22:00 სთ.-ზე გავიდა ისტორიული დრამატული სერიალი „მარია ანტუანეტა".

ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 17:00 სთ-ზე, ეთერში გადის დისქავერის დოკუმენტური ფილმები, რომელიც შერჩეულია სხვადასხვა თემატიკის მიხედვით. შაბათ-კვირას კი, ტრადიციულად, ვაჩვენებთ საფრანგეთის არხების ARTE და CFI დოკუმენტურ ფილმებს, რომლებიც საინტერესოდ მოგვითხრობენ ისტორიაზე, ხელოვნებაზე, მეცნიერებაზე. ასევე, გვთავაზობენ პორტრეტებს ცნობილი ადამიანების შესახებ.

ბავშვებისთვის კი, ყოველდღე, ეთერში გადის ანიმაციური ანიმაციური ფილმები, რომელიც გათვლილია სხვადასხვა ასაკის ბავშვებზე. ესენია: „ფლატმანია", „პაბლო, პატარა წითელი მელია", „მეოცნებე დაგი" და „ჯამბაზი კირი". ხოლო შაბათ-კვირას ანიმაციურ ფილმებთან ერთად გადიოდა ჩეხური ზღაპრები და საბავშვო ფრანგული სერიალი: „ესეც ასე".

მესამე კვარტალში, გამეორებით გავიდა გადაცემები: „წითელი ზონა" და „ლატერნა მაგიკა".

# მუსიკალური მიმართულება

## 2008 წლის ივლისი-აგვისტო-სექტემბერი

22 – 24 ივლისს ბათუმში ჩატარდა ჯაზ – ფესტივალი “Black See Jazz Festival - 2008”. სადაც მონაწილეობდნენ: ტანია მარია, მარკუს მილერი და ჯგუფი “Free Hole Negro”. საზოგადოებრივი მაუწყებელი ფლობდა ამ ფესტივალის გაშუქების ექსკლუზიურ უფლებას, კერძოდ: სამივე მონაწილესთან ექსკლუზიური ინტერვიუს ჩაწერა და ორი კონცერტის (ტანია მარია და ჯგუფი “Free Hole Negro”) სრულად გადაღება ეთერში გაშვების უფლებით.

23 – 29 სექტემბერს თბილისში ჩატარდა კლასიკური მუსიკის ყოველწლიური ფესტივალი “შემოდგომის თბილისი”. ამ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს დედაქალაქს მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ესტუმრა ბევრი გამოჩენილი მუსიკოსი. საზოგადოებრივი მაუწყებელი ფლობდა ამ ღონისძიების გაშუქების ექსკლუზიურ უფლებას.

## ნაციონალური პროექტი

## 2008 წლის ივლისი-აგვისტო-სექტემბერი

პირველი რადიოს ეთერში ყოველდღიურად მზადდებოდა საინფორმაციო გამოშვებები აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე (ქრნ. 5 წ.)
რადიო-გამოშვებებში სრულად აისახებოდა მიმდინარე დღის მთავარი მოვლენები, ამასთან, თითოეულ ენაზე ემატებოდა მათ ქვეყნებში მომხდარი მთავარი ამბები.

ყოველდღიურ რუსულენოვან სატელევიზიო გამოშვებებში (ქრნ. 14წ.) სრულად აისახებოდა მიმდინარე დღის მთავარი მოვლენები. მნიშვნელოვან თემებზე კეთდებოდა შესაბამისი კომენტარები. საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდებოდა, როგორც სატელეფონო, ისე პირდაპირი ჩართვები.

ყოველკვირეულ გადაცემების (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) პირველ ბლოკში (8წთ) მთლიანად აისახებოდა მიმდინარე კვირის მთავარი მოვლენები.
მეორე ბლოკში ( 15წ. ) გაშუქებული იყო შემდეგი თემები: სიუჟეტების უდიდესი ნაწილი ქართულ-რუსული ომის თემატიკას ეხებოდა.

**აფხაზური** –
აჭარაში მცხოვრები აფხაზების სოციალური პრობლემები. ლტოლვილმა აბიტურიენტმა ერთიანი ეროვნული გამოცდები წარმატებით ჩააბარა.
შერეული ქართულ-აფხაზური ოჯახის ისტორია, გზა სოხუმიდან თბილისამდე.
მომზადდა სიუჟეტების ციკლი აფხაზებზე, რომლებიც ომის შემდეგ საქართველოში დარჩნენ. მათი პოზიცია ქართულ-აფხაზურ პრობლემაზე.
როგორი გახდა თბილისი ბოლო წლებში.

**ოსური**

ქართულ-რუსული ომის შემდეგ პირველად ოსურ სოფლებში ჩვენი გადამღები ჯგუფი შევიდა.
მომზადდა სიუჟეტების სერია, როგორ ცხოვრობენ ოსები და ქართველები დღეს და როგორია მათი დამოკიდებულება მომხდართან.
ოსების მიერ კონტროლირებადი სოფლიდან ოსმა ახალგაზრდამ ერთიანი ეროვნული გამოცდები წარმატებით ჩააბარა.
დაბრუნებულ ოსებს პასპორტების პრობლემა ჰქონდათ, რომელიც ჩვენს გადაცემებში გასული სიუჟეტების შემდეგ თითქმის მოგვარდა.

მომზადდა პორტრეტი ოსი ეროვნების პროფესორზე, რომელიც საქართველოში დაბრუნდა და აქტიურ სამეცნიერო მუშაობას ეწევა.

**სომხური**

სამცხე-ჯავახეთში ისევ დგას კარტოფილის გასაღების პრობლემა.
სომეხი ახალგაზრდები უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხნენ.
მომზადდა სიჟეტები თემაზე, - რეგიონებში როგორ ფუნქციონირებს რესურს-ცენტრები.
კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სომეხი ეროვნების ახალგაზრდებმა ქართულის სწავლა აქტიურად დაიწყეს.
მომზადდა სიუჟეტები, რა არის თვითმმართველობის არჩევნები.
გადაცემებში სისტემატურად შუქდებოდა რელიგიური დღესასწაულები.
მომზადდა ციკლი საქართველოში მცხოვრებ გამოჩენილ სომეხ ადამიანებზე.

**აზერბაიჯანული**

აზერბაიჯნელმა ახალგაზრდებმა ერთიანი ეროვნული გამოცდები წარმატებით ჩააბარეს.
წყლის პრობლემა მარნეულში
მწყემსების პრობლემები საძოვრებზე.
აზერბაიჯანელი საზოგადო მოღვაწეების მუზეუმები სავალალო მდგომარეობაშია..
მომზადდა სიუჟეტები თემაზე,- რეგიონებში რესურს-ცენტრები გაიხსნა.
გადაცემებში სისტემატურად შუქდებოდა რელიგიური დღესასწაულები.
მომზადდა ციკლი საქართველოში მცხოვრებ გამოჩენილ აზერბაიჯანელ ადამიანებზე.

**რუსული გამოშვება**

ვრცლად გაშუქდა ოსური ჯგუფის შესვლა ოსების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე:
ოსურ სოფლებში არაფერია ცივილიზაციის მანიშნებელი,
ოსურ სოფლებში სკოლები არ ფუნქციონირებს,
ოსი ბავშვები, ზეწოლის მიუხედავად, ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში აბარებენ.
მომზადდა რეპორტაჟი აჭარიდან, მაჰაჯირების სოფელი.
მომზადდა ციკლი,- არაქართველი ბავშვები ერთიან ეროვნულ გამოცდებს წარმატებით აბარებენ.
მომზადდა სიუჟეტები მილენიუმის თემაზე (დაიწყო პროექტის განხორციელება რეგიონებში).
მომზადდა სიუჟეტები, რა არის თვითმმართველობის არჩევნები.
გაგრძელდა ციკლი,-ჟურნალისტი იცვლის პროფესიას.

დაიწყო ციკლი,- საქართველოს რეგიონები (ჟურნალისტი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ჩადის და ერთი დღის განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობის ადათ-წესებითა და პრობლემებით ცხოვრობს).
სისტემატურად ვრცლად შუქდებოდა რელიგიური დღესასწაულები.

*კვარტალური ანგარიში*

## რადიო

2008 წლის ივლისი – აგვისტო - სექტემბერი

## რადიოსპექტაკლი

ივლისში დაიდგა ზურაბ კანდელაკის „კალეიდოსკოპი, ანუ გამოცდის წინ“. მონაწილეობენ: ნინელი ჭანკვეტაძე, ნიკა წერედიანი, ზურაბ ცინცქილაძე. ამავე დროს, აღდგენილია 1977 წელს ჩაწერილი რევაზ ინანიშვილის „ჩემი წყალ-ჭალის ხმები“. მონაწილეობენ: ეროსი მანჯგალაძე, ზინა კვერენჩხილაძე, იაკობ ტრიპოლსკი, თენგიზ არჩვაძე, ტარიელ საყვარელიძე, თენგიზ მაისურაძე და სხვა. აღდგენილია, ასევე, 1973წ ჩაწერილი რეზო ინანიშვილის „წისქვილი ქალაქის გარეუბანში“. მონაწილეობენ: გივი ბერიკაშვილი, გრიგოლ კოსტავა, ზინა კვერენჩხილაძე, გიგოლა თალკვაძე, ია ხობუა.

## რადიოსპექტაკლი

აგვისტოში რადიოს პირდაპირ ეთერში უილიამ ლიუსისის „ამჰერსტის მშვენება“ 5 სერიად გავიდა. მთავარ როლში –ზინა კვერენჩხილაძე. ადგენილია 1986 წელს ჩაწერილი ნოდარ დუმბაძის „ჰელადოს“. მონაწილეობენ: გიზო სიხარულიძე, ალეკო მახარობლიშვილი, მამუკა ლორია, სლავა ნათენაძე, ცინუკი მესხი და სხვა. აღდგენილია, აგრეთვე, 1986წელს ჩაწერილი ნოდარ დუმბაძის „ღმერთო, რისთვის“. მონაწილეობენ: თენგიზ მაისურაძე, ლევან უჩანეიშვილი, თამარ სხირტლაძე, მანანა თევზაძე, ბონდო გოგინავა.

## რადიოსპექტაკლი

სექტემბერში ეთერში გავიდა სამოელ ბეკეტის „ნაკვერჩხლები“. მონაწილეობენ ლილი ხურითი და გივი ჩუგუაშვილი. აღდგენილია 1977 წელს ჩაწერილი გრიგოლ აბაშიძის „ცოტნე ანუ ქართველების დაცემა და ამაღლება“ (8 სერია). მონაწილეობენ: გრიგოლ აბაშიძე, ედიშერ მაღალაშვილი, გიორგი გეგეჭკორი, გიზო სიხარულიძე, ნათელა

მაჭავარიანი, ზინა კვერენჩხილაძე, იაკობ ტრიპოლსკი, ტარიელ საყვარელიძე, მერაბ გეგეჭკორი, ჯემალ მონიავა, ლადო ცხვარიაშვილი და სხვა.

## „მისტერ პიკი"

რუბრიკა მამაკაცებისთვის „პიკის საათში" (დილა). აქტუალური, საინტერესო და პრაქტიკული რჩევები მამაკაცებისთვის, რომელსაც სუსტი სქესის წარმომადგენლებიც სიამოვნებით მოუსმენენ. ოთხწუთიანი რუბრიკა ეთერშია ყოველ პარასკევს.

## „მეორე ნახევარი"

საინტერესო ისტორიები და დეტალები მსოფლიო ლიდერების მეუღლეებზე. სასიყვარულო და ოჯახური ისტორიები, კურიოზები, რომელიც საინტერესო კუთხით წარმოაჩენს ამ პიროვნებებს. ოთხწუთიანი რუბრიკა ეთერშია ყოველ პარასკევს.

## „წითელი წიგნი"

ახალი რუბრიკა „მწვანე პიკში", რომელშიც მოთხრობილია წითელ წიგნში შესული უნიკალური მცენარეების შესახებ. ეთერშია კვირაში ერთხელ ორწუთიანი ქრონომეტრაჟით.

## „დილა სტუმართან ერთად"

კვირაში ერთხელ საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანს „პიკის საათის" წამყვანთან ერთად მიჰყავს ბოლო ერთსაათიანი პირდაპირი ეთერი.

## საბავშვო ევროვიზია

## 2008 წლის ივლისი-აგვისტო-სექტემბერი

აგვისტოში განახლდა საბავშვო ევროვიზიის მონაწილე ბავშვების რეპეტიციები. 45 ბავშვი კვირაში ხუთჯერ დადიოდა მუსიკის და ცეკვის გაკვეთილებზე.

ასევე საბავშვო ევროვიზიის მონაწილეებმა ჩაწერეს სიმღერები, რომლებსაც უკვე გაუკეთდა არანჟირება.

აგვისტოს ბოლოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ვირტუალურ სუდიაში რეჟისორმა კახა ოთარაშვილმა გადაიღო ვიდეო რგოლები. 30 წამიან კლიპებში ბავშვები თავის სიმღერებს მღერიან რომლითაც ოქრომბრის თვეში მაყურებლის წინაშე წარსდგებიან.

ვიდეო რგოლები საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში უკვე ტრიალებს და მაყურებელს შესაძლებლობა აქვს უკეთესად გაიცნოს 2008 წლის საბავშვო ევროვიზიის მონაწილეები.

სექტემბრის შუა რიცხვებიდან ბავშვები უკვე რეპეტიციას გადიან საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ სტუდიაში, სადაც უკვე დამონტაჟებულია სცენა და კონკურსის მონაწილეები ხვეწენ ნომრებს.

უკვე მზად არის კოსტიუმებიც, რომელიც სპეციალურად კონკურსანტებისთვის შეიკერა.

კონცერტამდე რამდენიმე დღით ადრე ბავშვები გამართავენ მსვლელობას თბილისის ქუჩებში და ასევე სკოლებში სადაც დაარიგებენ ფლაერებს.

4 ოქტომბერს კი გაიმართება გალა კონცერტი, რომელიც ჩატარდება საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ სტუდუდიაში და კონცერტი გადაიცემა პირდაპირ ეთერში. მოწვეული იქნება სამასი ბავში გულშემატკივრის სტატუსით.ბავშვებს შეაფასებს ჟიური, ასევე მოსახლეობას შეეძლება გამოაგზავნოს მესიჯები და მხარი დაუჭიროს მონაწილეებს.გამარჯვებული ჯგუფი კი ნოემბრის დასაწყისში გაემგზავრება ლიმასოლში სადაც გაიმართება საბავშვო ევროვიზიის ფინალი.

# სპორტული მიმართულება
## 2008 წლის ივლისი-აგვისტო-სექტემბერი

მიმდინარე წლის ბოლო სამი თვის თვის ყველაზე მნიშვნელოვანი თემა პეკინის ოლიმპიური თამაშებისათვის მზადება და იქ მონაწილე ქართველ სპორტსმენთა გამოსვლები გახლდათ.

ივლისში სპორტული თოქ-შოუ "არენას" ოთხივე გამოშვება ოლიმპიადისათვის მზადებას დაეთმო. წლის ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრებისათვის არხის მიერ დამზადდა ახალი სტუდია, სათანადო დეკორაციებითა და აქსესუარებით.

თოქ-შოუ "არენას" ოთხივე გამოშვება ქართველი ოლიმპიელების მზადების დასკვნით ეტაპს დაეთმო. მომზადდა სპეციალური რეპორტაჟები ბორჯომიდან, ბაკურიანიდან და ბათუმიდან, სადაც სხვადასხვა სახეობების წარმომადგენლები შეკრებებს მართავდნენ. გარდა ამისა, გუნდის ხელმძღვანელები, სპორტსმენები მოწვეულნი იყვნენ სტუდიაში. აქტუალური იყო პეკინის მზადება ოლიმპიადისათვის. ამ თემაზე მომზადდა სპეციალური სიუჟეტები, მოხდა საქართველოს ოლიმპიური დელეგაციების ხელმძღვანელების პირდაპირი ჩართვები პეკინიდან. მათი დახმარებით ტელემაყურებელმა ახალი და მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღო. ივლისის მიწურულს საქართველოს პრეზიდენტმა თავის რეზიდენციაში მიიღო საქართველოს ოლიმპიური გუნდი. მანამდე კი ჩვენმა ოლიმპიელებმა ფიცი დადეს. ამ თემას მთლიანი გამოშვება დაუთმო "არენამ". უნდა ითქვას, რომ ოთხივე გამოშვებაში პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე წარდგენა მოახერხა სპორტულმა თოქ-შოუ "არენამ". მიუხედავად იმისა, რომ ნაწილი ათლეტების საქართველოში არ იმყოფებოდა.

ივლისში ოთხჯერ გავიდა პირველი არხის ეთერით ოლიმპიური გადაცემა "გზა პეკინისაკენ", რომელმაც ფართოდ წარმოგვიდგინა მსოფლიო ოლიმპიზმის ისტორია და დღევანდელობა. ტელემაყურებელს საშუალება მიეცა გაცნობოდა ლეგენდარულ სპორტსმენებს, ეხილა გასული ოლიმპიური რეკორდები, თვალი ედევნებინა ისტორიული კადრებისათვის, შეეტყო თუ როგორ ემზადება ჩინეთი ოლიმპიადისათვის. თითოეული გამოშვების ერთ-ერთი რუბრიკა გახლდათ "ლეგენდარული ქართველი ოლიმპიელი", რომელშიც უნიკალური საარქივო მასალით გამდიდრებულ სიუჟეტში საუბარი იყო ამა თუ იმ წლებში ქართველი ოლიმპიელების მიღწევებზე. რაღა თქმა უნდა, ყურადღების გარეშე პეკინის ოლიმპიადის ქართველი ლიცენზიანტებიც არ დარჩენილან.

სპორტული მიმართულების მიერ მომზადდა და მთელი თვის განმავლობაში გადაიცემოდა 3-5 წუთიანი ოლიმპიური ისტორიები, რომლებიც სხვადასხვა დროის ლეგენდარულ ოლიმპიურ ჩემპიონებსა და მათ მიერ ნაჩვენებ შედეგებზე მოგვითხრობდნენ.

აგვისტოში სპორტულმა თოქ-შოუმ ერთი გადაცემა ქართველი ოლიმპიელების პეკინში გამგზავრებას მიუძღვნა. საუბარი იყო თუ რა დატვირთვით იმუშავებდა საზოგადოებრივი მაუწყებელი აგვისტოში ოლიმპიური თამაშების მსვლელობისას. რამდენ რეპორტაჟსა და მიმოხილვას შესთავაზებდა იგი ტელემაყურებელს.

8 აგვისტოს პეკინში საზეიმოდ გაიხსნა ზაფხულის 29-ე ოლიმპიური თამაშები, საიდანაც პირველად ქართული ტელევიზიის ისტორიაში მოხდა ოლიმპიური თამაშების პირდაპირი რეპორტაჟი. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ პირველად ასევე ოლიმპიური თამაშებზე საზოგადოებრივი მაუწყებლიდან მივლინებულ იქნა ჟურნალისტთა და

ოპერატორთა მუშა ჯგუფი, რომელიც პირდაპირი რეპორტაჟების გარდა ამზადებდნენ სპეციალურ რეპორტაჟებს, სიუჟეტებს და მიმოხილვებს ჩინეთის დედაქალაქიდან.

საქართველოში აგვისტოს ცნობილი მოვლენების გამო, საზოგადოებრივმა არხმა რადიკალურად შეცვალა ოლიმპიური თამაშების ჩვენების პოლიტიკა და მხოლოდ რეპორტაჟების სახით მეორე არხზე მისცა ოლიმპიური თამაშების ხილვის საშუალება.

ოლიმპიური სახეობების 28 დისციპლინაში გამართული შეჯიბრებების რეპორტაჟები გადაიცა მეორე არხით, რომელიც 16 დღის განმავლობაში 12 საათიანი რეჟიმში მუშაობდა. დღის 8 საათიდან საღამოს 20 საათამდე ტელემაყურებელს საშუალება ჰქონდა თვალი ედევნებინა ოლიმპიადის ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო შეჯიბრებებისათვის.

ოლიმპიადაზე ქართველმა სპორტსმენებმა ოქროს სამი და ამდენივე ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მათი გამოსვლები საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხითაც გადაიცა, რამაც ვფიქრობთ ცოტათი მაინც შეამსუბუქა იმ მძიმე დღეებში მოსახლეობის მძიმე გუნება-განწყობილება. პეკინში მივლინებული ჩვენი ჟურნალისტების მიერ ყოველდღიურად მზადდებოდა სიუჟეტები, რომელიც საინფორმაციო პროგრამებში გადაიცემოდა, პეკინის ოლიმპიადის საზეიმო დახურვის პირდაპირი რეპორტაჟი საზოგადოებრივი მაუწყებლის ორივე არხმა გადასცა. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ტელემაყურებელს საშუალება მისცა თვალი ედევნებინა წლის ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრებისათვის. დასანანია მხოლოდ ის, რომ ცნობილი მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა ამ ძვირადღირებული და საინტერესო პროგრამის იმ ფორმატში მომზადება, რომელიც საზოგადოებრივ მაუწყებელს ჰქონდა მომზადებული.

პირველმა არხმა უყურადღებოდ არც ქართველ ფეხბურთელთა ნაკრები დატოვა, რომელმაც ამხანაგური მატჩი გამართა უელსში. მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი ჩვენი არხით გადაიცა.

სპორტულ მიმართულებას მუშაობა არც სექტემბერში შეუწყვეტია. პირველი არხით გადაიცა 21 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი რუსეთი-საქართველო.

13 სექტემბრიდან კი დაიწყო ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის უნაღლესი ლიგის გუნდების ჩემპიონატის პირდაპირი რეპორტაჟები. მედიაკომპანია "კოლხიდას" მიერ მომზადებული ყოველკვირეული საფეხბურთო გადაცემა "გოლი", რომელიც ეთერში ყოველ ორშაბათს გადის. ობიექტურობიდან გამომდინარე საწყის ეტაპზე გადაცემა ვერ აკმაყოფილებს| არხის ყველა მოთხოვნას, თუმცა უკვე შეიმჩნევა პროგრესი, რაც იმის იმედს გვიტოვებს, რომ ეს საფეხბურთო პროგრამა არხზე ადგილს შეინარჩუნებს.

სპორტული მიმართულების მიერ ახლა მიმდინარეობს საკალათბურთო და სარაგბო გადაცემებისა და რეპორტაჟებისათვის მზადება, რომელიც მიმდინარე წლის ოქტომბრიდან გავა ეთერში.

# ტექნიკური დეპარტამენტი

## 2008 წლის ივლისი-აგვისტო-სექტემბერი

მოგახსენებთ, რომ ივლისის თვეში ტელევიზიაში სამუშაოები ჩვულ რეჟიმში მიმდინარეობდა. ამის გარდა, დავიწყეთ პირველი (პროდაქშენ) სტუდიის სარეჟისოროს და ტექნიკური სააპარატოების დემონტაჟი და მონტაჟი ტელევიზიის შენობის მეორე სართულზე ახლად გარემონტებულ ოთახში.

აღნიშნული სამუშაოები ჩვენი ძალებით ჩატარდა, რითაც საკმაოდ დიდი ეკონომია გავწიეთ.

აგვისტოს თვეში ცნობილი მოვლენები (რუსეთის ოკუპაცია) მძიმე ტვირთად დააწვა "საზოგადოებრივ მაუწყებელს". ვმუშაობდით 24 საათი და შევქმენით ალტერნატიული (სარეზერვო) ტელევიზია გერმანიის საელჩოს გვერდით, რომელიც შეიძლება საჭირო გამხდარიყო რუსების მიერ თბილისის ოკუპაციის შემთხვევაში.

აგვისტოს თვეში განვიცადეთ დიდი მატერიალური ზარალი. რუსი ოკუპანტების მიერ დარბეული იყო ქ. გორის ანძა, საიდანაც ხდებოდა "საზოგადოებრივი მაუწყებელის" და რადიოს პირველი, მეორე არხების ტრანსლირება.

ქ. გორის ანძაზე დამონტაჟებული აპარატურა მთლიანად განადგურდა. "საზოგადოებრივი მაუწყებლის" პირველი არხი ეთერში გადის დროებით ნათხოვარი გადამცემის საშუალებით.

ამავე დროს, პარალელურად ვაწარმოებდით მოლაპარაკებას ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროებთან. შევქმენით იმ აპარატურის კონფიგურაცია, რომელიც რუსმა ოკუპანტებმა დაარბიეს. ჩავატარეთ შეხვედრები ყველა ტელე და რადიოკომპანიებთან. გამოვლინდა, რომ ყველაზე დიდი ზარალი "საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" განიცადა. სამწუხაროდ, დღესაც ველოდებით იმ სატელევიზო და რადიოგადამცემებს, რომლებიც ჩვენთვის საჩუქრად უნდა გადმოეცათ.

აგვისტოს თვეში ოლიმპიადა, რომლის ჩვენების უფლება ოფიციალურად გვქონდა ნაყიდი, სამწუხაროდ, ცნობილი მოვლენების გამო სათანადოდ ვერ გავაშუქეთ პირველ არხზე (ტრანსლირება მიმდინარეობდა მეორე არხზე).

სექტემბრის თვეში საინფორმაციო და სამონტაჟო სტუდიების დაკაბელება დავიწყეთ, რაც მშენებლებს პროექტში არ ჰქონდათ გათვალისწინებული. აღნიშნული სამუშაოები, აგრეთვე, ჩვენი ძალებით ჩავატერეთ.

დაიდო ხელშეკრულება შპს "კოლხეთთან". ამ ხელშეკრულების საფუძველზე ვაწარმოებთ ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მატჩების ტრანსლირებას ჩვენი სარელეო და კოსმოსური გადამცემების საშუალებით.

ამჟამად, მიმდინარეობს მზადება საბავშვო "ევროვიზიისთვის".

არის პრობლემები რომელიც წინა ხელმძღვანელობის მართვიდან მოდის:
კაბალური ხელშეკრულება რომელიც სატელიტური მაუწყებლის პროვაიდერთან არის დადებული, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტის დუშეთის გადამცემი ანძების და მიმდებარე ტერიტორიის გაყიდვა, ტელევიზიის ცენტრალური კორპუსის მეორე სართულზე ახალი ნიუსრუმის დაპროექტებისას დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოთხსენებული ალბათ სამეთვაყურეო საბჭოს განსჯის საგნად უნდა იქცეს იმიტომ რომ საზოგადოებრივ მაუწყებელს ეს ყველაფერი ხანგრძლივი დროის მანძილზე გაჰყვება როგორც პრობლემა.

თანამშრომელთა რაოდენობა თვეების მიხედვით




ადამიანური რესურსების სამსახური

## მიღებულ თანამშრომელთა რაოდენობა




ადამიანური რესურსების სამსახური

გათავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა




ქალ თანამშრომელთა რაოდენობა




ადამიანური რესურსების სამსახური

### დეკრეტულ შვებულებაში მყოფ თანამშრომელთა რაოდენობა




ადამიანური რესურსების სამსახური

### ინფორმაცია გაცემული მატერიალური წახალისების შესახებ (თანამშრომელთა რაოდენობა)




ადამიანური რესურსების სამსახური

# მარკეტინგის სამსახური

## 2008 წლის ივლისი-აგვისტო-სექტემბერი

1. ზაფხულის XXIX ოლიმპიური თამაშები

საზოგადოებრივ მაუწყებელს ჰქონდა ზაფხულის XXIX ოლიმპიური თამაშების ტრანსლირების ექსკლუზიური უფლება. ამ მოვლენის პრომოუშენისათვის მარკეტინგის სამსახურმა შეიმუშავა ე.წ. "ოლიმპიური პროექტი", რომელიც უნდა განხორციელებულიყო როგორც სატელევიზიო ასევე ბეჭდვით საშუალებების გამოყენებით. მარკეტინგის სამსახურის მიერ შემუშავებული სარეკლამო სტრატეგიის ამოცანას წარმოადგენდა საზოგადოებრივი მაუწყებლის "პირველობის" ხაზგასმა, რომ ქართულ ტელესივრცეში პირველად სწორედ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მოიპოვა ექსკლუზიური უფლება გადაეცა რეპორტაჟები ოლიმპიური თამაშებიდან.

- ამისათვის შემუშავდა სატელევიზიო პრომო რგოლები სადაც გამოყენებული იყო სიტყვა "პირველად" და თავმოყრილი იყო ოლიმპიურ თამაშებზე პირველად მომხდარი საინტერესო ისტორიები. შეირჩა საინტერესო, სახალისო ინფორმაცია ოლიმპიური თამაშების შესახებ.
- შემუშავდა ასევე ანიმაციური პიქტოგრამა, რომელსაც ჰქონდა ორგვარი დატვირთვა: 1. ოლიმპიადის დაწყებამდე, საზოგადოებრივ მაუწყებელზე ოლიმპიადის ჩვენების რეკლამირება; 2. ოლიმპიადის მიმდინარეობის დროს ცალკეული ასპარეზობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
- მომზადდა საინფორმაციო ბუკლეტი სადაც ასევე ხაზგასმული იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ოლიმპიური თამაშების ტრანსლაციის ექსკლუზიურობა. ბუკლეტში განთავსდა ინფორმაცია, რომელიც საინტერესო იყო არა მხოლოდ სპორტის მოყვარულებისათვის. გამოქვეყნდა საინტერესო მასალა ოლიმპიური თამაშების მასპინძელ ქვეყანაზე, ზოგადად ოლიმპიურ თამაშებზე და პეკინის ოლიმპიური თამაშების მონაწილე ქართველ სპორტსმენებზე.

2. ტელესერიალების პრომო

მომზადდა სატელევიზიო სერიალების: "Living" – "ცხოვრება", "Anne of Green Gables" – "ენი მწვანესახურავიანი სახლიდან"; "Road to Avonlea" – "გზა

ავონლეასკენ”; “Worst Best Friends” – “უცნაური მეგობრები”; “Crash Zone” - ქრეშ – ზონა; “Noah and Saskia” – “ნოა და სასკია” სატელევიზიო პრომო.

სერიალების შინაარსიდან და ფორმატიდან გამომდინარე განისაზღვრა მიზნობრივი ჯგუფები. ამ მიზნობრივ ჯგუფების ფსიქო-დემოგრაფიული თავისებურებების მიხედვით შემუშავდა ტელეაუდიტორიასთან საკომუნიკაციო ენა. ასევე განისაზღვრა დროითი სეგმენტები (გადაცემები) სადაც უფრო მომგებიანია ამ პრომო რგოლების განთავსება. მარკეტინგის სამსახურმა განახორციელა ზემოთ აღნიშნული ტელესერიალების პრომოკამპანიის მონიტორინგი.

3. პრომოაქცია “ფილმები საზოგადოებრივ არხზე”

მარკეტინგის სამსახურმა მოამზადა მასალა საზოგადოებრივ არხზე კინოჩვენების ზოგადი პრომოსათვის. ამ პრომოაქციის მიზანია მუდმივი მაყურებელი შეიძინოს საზოგადოებრივი არხის კინოჩვენებამ. მოიზიდოს უფრო მეტი მაყურებელი საზოგადოებრივ არხზე. პრომოაქცია “ფილმები საზოგადოებრივ არხზე” - მიაწვდის მაყურებელს ინფორმაციას და შეუქმნის სათანადო განწყობას, რომ საზოგადოებრივი არხი ყოველდღიურად, სტაბილურ დროს სთავაზობს მათთვის საინტერესო კინოპროდუქციას. ამ მიზნით მოხდა არსებული კინოპროდუქციის, როგორც მხატვრული ასევე დოკუმენტური ფილმების, კლასიფიკაცია.

4. სატელევიზიო ბაზრის მონიტორინგი

ყოველდღიურად მიმდინარეობდა სატელევიზიო ბაზრის მონიტორინგი. მონიტორინგი ხდება “people meters” –ების საშუალებით. ყოველდღიურად მზადდება სარეიტინგო მონაცემები ქართულ სატელევიზიო სივრცეში არსებულ ტელეარხებზე, სატელევიზიო გადაცემებზე. განიხილება და ანალიზდება ტელემაყურებელთა სამომხმარებლო ქცევის ტენდენციები.

მომზადდა სხვადასხვა ინფორმაცია ევროპის მაუწყებელთა კავშირისათვის.

მზადდებოდა მონაცემები ტელეაუდიტორიის ქცევის ანალიზის მიზნით.

5. ახალი სატელევიზიო პროექტის განხილვა

სატელევიზიო პროექტის (“ტელე-ჩატი”) განხილვა, საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის შესაბამისობის განსაზღვრა.

## საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

1. საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის საინფორმაციო ბიულეტენის დაგზავნა.
2. საზოგადოებრივ მაუწყებელთან არსებულ საზოგადოებრივ საბჭოებთან შეხვედრების ორგანიზება.
3. ოლიმპიადიას სარეკლამო ატრიბუტიკის დამზადება.
4. მოქალაქეთა სატელეფონო ზარებსა და წერილებზე პასუხის გაცემა და რეაგირება.
5. საბავშვო ევროვიზიისთვის სარეკლამო ატრიბუტიკის დამუშავება, დამზადება.

მოქალაქეთა წერილების ანოტაციები.

2008 წელი, ივნისი/ივლისი/აგვისტო/სექტემბერი
საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის სამსახური.

